

# სახსარი

11  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1429). ივნისი, 1974. ფასი 20 კაპიკი.



ნ.ბ. მ. მამუშიძის

— რა მოგივიდა, პატრონი?  
— როგორც იქნა, ხურდა გამოვართვი გაყვილ-  
ველს!



**შურნალ** „კროკოდლის“ მთავარ რედაქტორს, ცნობილ იუმორისტსა და სატირიკოსს — მანუილ გრიგორის ძე სემიონოვს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

**მანუილ სემიონოვი!**

გულით გილოცავ ნიანგი, То есть, Грузинский Крокодил!  
 ბრწყინავენ შენი წიგნები სიცილის ნაღდი ოქროთი!  
 აჯობე ქართველ დღევანდელს! — იცოცხლე ორას წელიწადს!  
 ზუსტად ამდენ ხანს ცოცხლობდეს, მანუილ, შენი ვლიტაც!  
 ხარ თვეზაობის ტრფიალი! — იცოდე, გელი თბილისში!  
 მჯერა: ჩამოხვალ ანკესით, თან ჩამოიყვან შეილიშვილს!

**მანუილ სემიონოვი**

**ბიუროკრატიზმის დახეობა**

**მზიარი** მგელი გამუდმებით უთვალთვალებდა თხას, რომელიც ყოველთვის ახერხებდა ამ მტაცებლისგან თავის დაღწევას.

ერთხელ კი მგელმა ისეთ გამოქვაბულში მიიმწყვდია, რომ თხას გასაქცევი აღარა ჰქონდა.  
 — ახლა ხომ ჩამივარდი ხელში?! — დაუღრიალა მგელმა და ტუჩები მოილოკა.  
 — ჩავივარდი, — თვინიერად მიუგო თხამ, — მე თვითონ გეძებდით, რომ ბატონი მგლისთვის ჩემი თავი შემეთავაზებინა სადილად.  
 — ეგ როგორ?! — გაიოცა მგელმა, — შენ შენივე ნებით გინდა, რომ შეგჭამო?  
 — დიახ, ბატონო! — კვერი დაუკრა თხამ.  
 — ჰოო! მაშინ მთლიანად იცვლება საქმის ვითარება: თუ საკუთარი სურვილით გინდა შეგჭამო, წერილობით უნდა მომმართო! ასეთია წესი!

თხა ახლაც ჯანმრთელად და ბედნიერად გრძნობს თავს: მისი განცხადება ჯერ კიდევ დაღის ზემო და ქვემო ინსტანციებში...


**„კროკოდლის“ დახეობა**

**ტელეფონის** ზარმა დარეკა...

— „კროკოდლის“ რედაქციაა?  
 — დიახ!  
 — თქვენთან საჩივარი მაქვს: ჩვენს სამზარეულოში ონკანი წყალს უშვებს. დაწერეთ ფელეტონი და გამოაქვეყნეთ!  
 — სახლმმართველობიდან ხელოსანი ხომ არ გამოვიძახებთ?  
 — არა.  
 — ჰოდა, გამოვიძახეთ!  
 ნახევარი საათის შემდეგ ტელეფონმა ისევ დარეკა...  
 — „კროკოდლის“ რედაქციაა?  
 — დიახ!  
 — ეს ისევ მე ვარ, სამზარეულოს ონკანის თაობაზე!  
 — მოვიდა ხელოსანი?  
 — მოვიდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ონკანი წყალს აღარ უშვებს. შესანიშნავია! მაინც რა ხალხი ხართ ეს ფელეტონისტები, რას არ მოიგონებთ!

**ფიქრის ნაყოფი**

● **ჯორჯი**, რასაკვირველია; ძალიან ამტანი პირუტყვია, მაგრამ საპალნის ამკიდებლებმა მაინც არ უნდა დაჰკარგონ ზომიერების გრძნობა!  
 ● **მელიას** ყურძენი უყვარსო! — ეს ნამდვილად დიდი ჭორია.  
 ● **ზღაზღამა** ბეჭემოთს ვერაფრით ვერ უჩხვლიტა. არადა, გულით კი უნდოდა!  
 ● **ირმის** რქები პირველად სრულიადაც არ იყო გათვალისწინებელი მონკავშირის კედლების დასამშენებლად.  
 ● **თხუნალები** მიწას კი თხრიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იქ არა, სადაც ასფალტია დაგებული.



ბიუროკრატიზმი  
 მანუილ სემიონოვი  
 მკობრული შარუ ბ. ფირცხალაშვილი

**ოპერაცია „ბებია“**

**ფედოსიას** სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამქვეყნად მისი შვილიშვილი ომარი გაჩნდა. დაფატურდა ბებია, დამბაჩის გასროლის გარდა, ყველაფერი გააკეთა, რათა ესამოვინებინა ჩვილი ბავშვისთვის. გადიოდა წლები, მოზრდილსაც მზრუნველობას არ აკლებდა იმ იმედით, რომ იგი ღირსეული ადამიანი დადგებოდა და სოფელს ასახელებდა.

მართლაც, **ომარ ჯიჯელავამ** მალე გაითქვა სახელი: ოცდაექვსი წლისას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ბებიას მიერ დროგამოშვებით ნაჩუქარი მზესუმზირას, „მამალოს“ ან კინოს ფული და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ მოეხდინა ბებია ფედოსიას მიერ წლების მანძილზე ალალი შრომით დანახოვი ფულის „ექსპროპრიაცია“ ქეიფისა და დროს ტარებისათვის.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მან სოფლის ცენტრში შეკრიბა ძმაცაცები — გეგეშკორის რაიონის სოფელ ტალერში მცხოვრები, მასავით მუქთახორა **ნუგუში** სანაია, **გულვერი** გავუა, **გალაქტიონ** ჯოჯუა და, მათთან ერთად, შემეშავა ოპერაცია „ბებია“.

...ლამის ორი საათი იქნებოდა, „ოპერაცია“ რომ დაიწყო. ოთხი აყლყულა ლანდი, ოდნავ წელში მიხრბილი, მიეპარა ბებია ფედოსიას ეზოს. ოდის კიბეებზე, რომელზეც ბებიას ბევრჯერ ბელმოკიდებული აუყვან-ჩამოუყვანია, ომარი ახლა ფეხაკრეფით, ცერებზე აღიოდა. მას უკან მიჰყვებოდნენ ყაჩაღნაფიცები. უცებ შეჩერდნენ, საიდანღაც შავმა კატამ ჩხავილით ვადაურბინა წინ... ფისუნამ თითქოს იგრძნო, რომ მოსულეებს კარგი არაფერი ეწადათ და სახლის პატრონის გაღვიძება მოინდომა, მაგრამ ფედოსიას მეორე შვილიშვილ ნათელასთან ერთად არჩეინის ნაღვლიანად ეძინა, კარებიც ღია დაეტოვებინა, იცოდა, რომ სოფელ ტალერში, რაც თავი ახსოვდა, ჯერ არავინ გაუძარცვიათ. აბა, რას იფიქრებდა, რომ ამ ტრადიციას მისი შვილიშვილი ომარი დაარღვევდა და თანაც პირველ დარტყმას მას აგემებდა.

და, აი, ქალის შავი წინდებით თავშებურული ოთხი გარეწარი ფანტომისივით თავს დაადგა მძინარე ბებია ფედოსიას. ომარი და გულვერი ჭიქურ სწვდნენ ყელში მოულოდნელი თავდასხმით დაფეთიანებულ მოხუცს, მარღვიანი თითები მძლავრად მოუჭირეს და „დაიოხზა“ დაუწყეს.

— ან ფული, ან სული! — დასწყვიტა შვილიშვილმა და უფრო მაგრად წაუჭირა ყელში. მოხუცმა ხრიალი დაიწყო, მაგრამ მაინც არ დანებდა და, უარის ნიშნად თავი გაიქნია. ამა-სობაში ნათელასაც გამოეღვიძა. იგი ათრთოლებული და გაოგნებული წამოიჭრა ლოგინში... ომარიმ ხელი სტაცა თავის ბიძაშვილს, საფეთქელთან სპორტული სასტარტო პისტოლეთი მიაღო და ბებიას მიმართა:

— ახლავე ჩამოყაჭე ფულები, თორემ სულს გავაფრთხობინებ შენს შვილიშვილს!

შეშინებულმა ფედოსიამ ბალიშის ქვეშედან გამოაძრო ას ორმოცი მანეთი და მძარცველს მათხოვარივით გამოწვილ ხელში ჩაუდო, მაგრამ ომარი და მისი დამქაშები ამას არ დაჯერდნენ...

— სად არის დანარჩენი?! — კბილების კრაქუნით იძახდა ომარი და თან უმოწყალოდ ურტყამდა მუშტებს მოხუც ბებიას.

რადგან „ქერპი“ და უშიშარი მოხუცი ლაჩარმა ახლაგზრდებმა ვერ გამოტეხეს, სახლი გაჩხრკეს, მიყარ-მოყარეს და ჩაღწევეს ყველაფერი. ბოლოს კარადაში შენახულ ჩემოდანში ორი ათას ასი მანეთი აღმოაჩინეს.

გაცოფებულმა მძარცველებმა, რაკი ათი ათასი მანეთი სრულად ვერ ჩაიგდეს ხელში, ბებიასა და შვილიშვილს ხელები შეუკრეს, რამდენჯერმე კიდევ გააწნეს სილა, უმწეოდ დაყარეს იატაკზე და გაუჩინარდნენ.

როგორც შემდგომში გამოირკვა, ნაძარცვი ფული მათ ფრიალ ეგზოტიკურ ვითარებაში — მდინარე ტეხურის პირას, მთვარის შუქზე გაინაწილეს, მაგრამ დახარჯვა ვეღარ მოასწრეს. გეგეშკორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ დაუყოვნებლივ შეიმუშავა და განახორციელა ოპერაცია „უღირსი შვილიშვილი და K0“. სულ მოკლე ხანში ავაზაკები „გალიაში ჩასმული“ ჩამოატარეს სოფელში...

გეგეშკორის რაიონის სახალხო სასამართლომ კი ოთხივე არამზადას ფრიალ არაეგზოტიკურ ვითარებაში, საჭაროდ და ღირსებისამებრ თანაბრად გაუნაწილა 32... წელი, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში „დროსტარებისათვის“.



# სასოღაპი პუკა

ერთ საღამოს, ახალ კოსტუმში გამოწყობილი, მივდივარ ჩემს მეგობართან. უცებ ერთი ეზოდან პატარა ფინია გამოვარდა, ბეწვი ისე ჰქონდა დახუჭუჭებული, გეგონებოდა, ექვსთვიანი აქვს გაკეთებული. თვალი არ უჩანდა და პირი. მეცა წვივზე და ნემსივით კბილებით სისხლამდე მიკბინა. ერთი კი ვკარი წიხლი, მაგრამ რაღა დროს? ჩემი ახალი კოსტუმის შარვალი ავტობუსის ბილეთით მქონდა ჩამოკიდებული. სისხლი რომ დავინახე, გული კინაღამ შემიწუხდა.

ძაღლის წკვეწკავზე ქალი ვივლით გამოვარდა. ქალი კი არა, ქაჯი გეგონებოდა თუთიყუშით ჭრელ ხალათში, თმებზე ასაფეთქებელი ტორპედოებით ჰქონდა გაკეთებული „ბიგუდები“.

— შე საზიზნარო, როგორ ბედავ ჩემი პუკას ხელის ხლებას! შენ იცი, ეს რა ჯიშია? შენ გაგინმა ხელი! — არ ცხრებოდა პატრონი.

— ჯერ ერთი, მე ხელი არ მიხლია, ფეხი მივარტყი, მაგან კი მიკბინა და ახალი შარვალიც დამიხია.

— ძალიანაც კარგი უქნია, თუ თქვენსთანა მხეცს უკბინა! მოდი, დედა გენაცვალოს, ჩემო პუპუნია, ჩემო პუპიკო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ტუკა, ჩემო ცუნცულა!... — და რა ვიცი, კიდევ რა საალერსო სიტყვებით არ ამკობდა ძაღლს, ტუჩებში კოცინდა... მე ცოლ-შვილს არ მოგფერებებარ ასე.

გამოვიბარე და, იმ დღიდან, დაიწყო ჩემი ტანჯვა... მეგობარს მოუყვები ასე იყო-მეთქი და:

— ცოფიანი ხომ არ იყო? — მკითხა, — თორემ, შეიძლება, შენც გაცოფდეს! უნდა იარო და ამოწმო ყოველდღე, ძაღლი ხომ არ გაცოფდა!

ვაი შენს ვივის, რაც მე განვიცადე: ყოველდღე მივდიოდი და გამოწმობდი. როგორც კი ძაღლის პატრონი დამინახავდა, კივილს ატეხავდა.

— ცოფიანი შენ თვითონა ხარ! ჩემი პუკა შენზე ჰკვიანია! როგორ ბედავ ჩემი სიცოცხლის შეურაცხყოფას! დურაქ! — და ყოველდღე ასე...

ერთ დღეს, როდესაც კვლავ მივაკითხე ჩემს დამტანჯველს, მეზობლებმა მითხრეს, ის ძაღლი მოკვდა, მისი პატრონი არც ჰამს, არც სვამს, ზის ჩაბნელებულ ოთახში და გარეთ არ გამოდისო. ვაი ჩემს თავს! ახლა რაღა ვქნა-მეთქი? მივვარდი პასტერის სადგურში, აუუსენი მდგომარეობა. მითხრეს:

— ძაღლი რახან მოკვდა, მნიშვნელობა არა აქვს, ცოფიანი იყო თუ არა, ორმოცი ნემსი უნდა გავიკეთოთ!..

ეს მინდა მე?! რაც სამედიცინო ენციკლოპედიაში წამეკითხა, სულ მე მემართებოდა. წყლის შიში იცისო და, ორი კვირა წყალი არ დამილევია, ონკანს ვერ ვეკარებოდი, წყლის შიშით ხილზე ვერ გადავდიოდი...

ერთი თვის შემდეგ, როდესაც დავრწმუნდი, რომ არ გავცოფდი და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, იმ ქუჩაზე გავიარე. ვხედავ, მოდის ჩემი დამტანჯველის პატრონი ძაძებში, დამწუხრებული. მე, გახარებულმა იმით, რომ არ გავცოფდი, ვიფიქრე, ამას მაინც ვასიამოვნებ-მეთქი:


— ქალბატონო! მე დიდად მეწყინა თქვენი ძვირფასი პუპიკოს სიკვდილი. მაინც რა მოუვიდა იმ საწყალს? რა საყვარელი პაწაწუნა ძაღლი იყო! — და ხელზე ამბორი დავუბრე. მან ცივად გამომტაცა ხელი, შიშითა და ზიზღნარევი თვალებით ამხედ-დამხედა (ასე, ალბათ, კეთროვნებს უცქერიან), შემდეგ ტირილი აუვარდა.

— რა ბედნიერი ვიყავი, სანამ ჩემი ძაღლი გიკბენდათ, ის ცოცხალი მყავდა, ჯანმრთელი. იმას რა მოკლავდა, თქვენთვის რომ არ ეკბინა...

იგი შეტრიალდა და გულამოძვარა, სლუკუნით გამეცალა.

თინა შორაშოლიანი

ნ. ჯ. ლოლუასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, შვილო, ცოტა წაიმეცადინე! აქ კი, შენს მაგივრად, მე დავკვები!..

## ნ ა ც ნ ო ბ ი

არაფრის თავი არ ჰქონდა, უყვარდა წყნარი ტანგო და ყველგან, ყოველთვის გაჰქონდა თავი,

რომელიც არ ჰქონდა. ისე მიიჭრა მიზანთან, როგორც მრისხანე დრაკონთან, ბუზს არასოდეს ისვამდა თავზე,

რომელიც არ ჰქონდა. მუდამ ამყად ეჭირა, გამოსულს სადალაქოდან, და მამულს ბევრჯერ შესწირა თავი,

რომელიც არ ჰქონდა.


მოიხმო ქართველის დედები. წარსულიც გადააქოთა, და აუვარდა დიდება თავში,

რომელიც არ ჰქონდა. არ აშინებდა გრლოვთა, არც ცრემლი უსასაკოთა, ყოველთვის დიდად მოჰქონდა თავი,

რომელიც არ ჰქონდა. ბოლოს დაღვინდა მაჭარი, ბოლოს უმღერეს ოდა... ბოლოს საქვეყნოდ მოეჭრა თავი,

რომელიც ჰქონდა.

ვახტანგ ჯავახიანი



— რას დავყვება ეს რაინდი ამ ქალიშვილს?  
— იმდენი ბრილიანტი და თვალ-მარგალიტი ახსნა, კი სჭირდება ერთი ყა-რაული!



**ჩანხა** შეგობარმა შემომთავაზა. ერთად წაესვლიყავით დასაყენებლად. მეც შევებულაში ვიყავი და გაღაყვითები, ზღაპრულად ვიყავი...

...მიჭირებდათ მე და ვინც ცისფერი აქვდა... უხარია ვინც, ახალი მანქანა რომ აქვს. მეც მინახარია.

მანქანაში საათობით ვლომამ დამძალა, სანძულად ამტკიცდა თვითი...

მივღვივართ, მაგრამ ავითაქვთ არასდ ჩანს. ტროვებით კომფორტაბელურ რესტორნებს, პავილიონებს, სასადილოებს, ფაცხებენ...

— ამდენი სასადილო სკოლებად და ავითაქვებად რომ გადაყვითონ, ხომ უყვითი ბებრებოდა სწავლა არ ავითაქვებოდა და მეც თავი ვინ ვატივლებოდა... — ვიჭერ მე.

— სწორი ხარ! ავერ, საადითაქო მღორხა უნდა იყოს! — მანქანა გაჩერდა ვინც.

ველათაველა ჩიხობის კედელზე ჩამოყვლებულ, საღებავაკვენილ აბრაზე მოვის ჩანდა წარწერა — ას ა ა თ ი თ ი თ მ ე ლ ა ზ ა ა. შიგ იდა წვერავაპასივი, ბიჭურხალაიანი მამაკაცი და თვლებოდა. ჩემმა შესვლამ დაღვრებოდა, ჭეუთიობით მოვის დაამორჩა ერთმანეთს და შემოკვეთა:

— თავის ტყვილის წამალი გაქვით?

— არის!

— მოვეცი!

— რატობი გაქვით?

— რა რეცეტი?

— ექიმის!

— რატობი?



— შეიძლება, მორფინისტი ხარ!

— მორფინისტი კი არა, ალბინისტი ვარ! მოგვეცი, შე ვაქო, წამალი, მისცემბა თაქ!

შემომხედა, მართლა ხომ არ უსცდება თაქო.

— არა, ბიძია, ვერ მოვეცი, მთლად რომ ვასცდი ურეცებულ მოგვეცო ოყნას, ვრეკასა, ყავარჯენს, ჭობს, სოდას! — ავრტყლებდა, მაგრამ შეიჭყვებოდა.

— ევენი ღმერთმა მშვილობამო მოგასმაროს! ჩვენ თაქის ტყვილის წამალი გვიჩნდა!

— ურეცებულ არ იქნება, ასე მაქვს ნაბრძანები!

ეს ისე ვვითრბა, შევასუხებ ხელმეტი იყო. თაქი ორმაგად მტკიოდა. მანქანაში ჩავსხედით. მივღვივართ. ვინამ მანქანა პავილიონთან გაჩერდა.

— აქ ექვნებთ თაქის ტყვილის წამალი, ეს ხომ ლითების ავითაქია!

— მე ხომ ლითი არა ვარ?

— არა უშვებს, სხვასაც გამოაღებენ.

— კონიაკი გაქვით?

— რომელი?

— გრემი.

— არის!

— დაასხით ასი გრამში!

— ასი გრამისთვის ბოთლს ვერ გაგვსენით!

— რატობი?

— იმიტომ, რომ მერე მას არავინ დაღვებს, ნაურთიან, მეტყვიან. — დაასხით ორასი გრამში!

— არც ორასი შეიძლება! თუ ვინმე, ერთი ბოთლი აიღეთ!

მე და ვინა ვაკვირებოდა ეუყურებოლი ერთმანეთს.

— რა ვერუფობა, მოვეცი!




— არ გავაპრობ ტაქსი ამ მშობნებში?  
— შინგინ, აღდგა რიხინასტა მშხადა.

საშეშოვლ შევავკითხეთ და მავინდს მივუხედით. შევუღებოდა მისი ტყვილის წამლის "მიღებოდა". მალე ტყვილმა გამიარა. მე-ბუფეტის ვინაზე, ერთი წვეთი არ ჩავებტოვებია ბოთლი.

ვეხებო მოვის ვიღებო. მანქანაში ჩავსხედით.

ვინამ ქაჩივითა ვაჭეროდა ცისფერი "ჰაშიშოლი" ხელსაწვდით სწორ ავტოსტრადებზე... ვვერდებუ შეხილით ჩავებტოვებენ ხოლმე ავტომანქანებში... ვინ ხუხობის, საყვირს აბეჭვს, საქვს აქვით-იქვით ათამაშებს, მძღოლებს განიხებს...

უცებ საშინელი ჭკანის ხმა მიმესმა... აუტანელი თაქის ტყვილი ვივარტინე... მერე აღარავერი მახსოვს... თაქის ტყვილი სამუდამოდ დამავიწყდა!



— ???  
— თანხარ არ მითხარით, საშობად მინდაყო!

ალბით აღბანია

**გამაკაცებო, ფრთხილად!**

ჩვენი მონიხლდ მტერს, სიხიხია და მწველი, მოდის, ნელ-ნელა მოდის, არა მოგვეწყვითოს წელი!

დავადრწინებებს ცრემლებს, ვაგაგაგინებს დასე... (ჩემ შენ დაბედა და, საშველს ვავლიტობებებს რაქვს?)!

ჩემ წყაპაზებებს ცოლთან და ვადავკიდებს სიღვრის, ერთი ვავრდებს უნდობს, მეორე — უშნი სიძეს.

ერთი მოიხივებს ვაგარს, მეორეს წყნითად ჰყოფინს (მე იმედ მაქვს მხოლოდ მტროვებულ სოფლის)

ნაფხიხობა ცოლის სუფრას წამოგვამბებს; სიხეხილს ვახსარბობად რაას აჩენდა ხანდენს!

თაქს პრა დასურბო ცოლ-შვილს, საყურთავე ხელო, ახლა ვინ არჩენს ოქაბს წიგნის კიობით და ენაო?

შენ თუ ვერაფრეს ხელებს, მოიხივლდ ირავლავს, ვინ აჯარ მოდის ხალხს, დარჩიხაბულ ვაქ!

ვანი ეწვევა ბაბუნს, რუო კიხილოვდეს ნახავს. თხერი ბიჭვინთის მავრს, ერთი ვივრბა, ულპავს!

იალოტე და კარხე ხაზარბობენ ამ წყელს. ვასო ბორჩოში მოდის, თხოო ვავრსიკენ ვაქვებს!

დასიხენებს ცოლ-შვილს (დაიხივენებს თხოის), ფულებს ფანჯინდ ისე, არავინა ვივრო...

შენ კი (ვალხიხინდ ოქაბს) გამოწვევითად დარჩი, ამ ვაგინა ხმ თვეს ზოლდ ტალახი ვლანახსი...

ჩვენი მონიხლდ მტერს, სიხიხია და მწველი, მოდის, ნელ-ნელა მოდის, არა მოგვეწყვითოს წელი!

დავბა დრო უსაშველო ვაქვინებს და შვილისა მამაკვიცხე, ფრთხილად მოდის! ზავებული მოდის...

ათობლილ უპაჩინია



— რა მუშაობა ჩვენს წინარს?  
— ანაშენ დინება და სიღრმე პასხენსა, რჩება დინაპი-ტაბს არ ბოშინდენს.

— ეს სოფლე, სევასტი, ესოროლე!  
— შიოკა, სევასტი, ვერ არც ესოროლე, პრიფელში დავს, მაგრამ ანაშენი რომ დადგეს, მაინც არ მესოროლე!

— რატობი, ვაცო?

— დავებებენ და იმიტომ, სევასტი!

— დათვი ძროხას მივქმს და რომ მივკლა, ამისთვის დამიბებენ?

— ასე, მშაო, და, რა გქნათ?! დამივგებო უნდა, ფაენა მაქი!

— ფაენა არა, ცუნა არ გინდა?

— დათვის მივკლავთ ფაენასაც ანაღვრებ და ფლორასაც, სევასტი! არ იცი მაქი? ავერ გუშინ არ იყო, ჩვენს ვუქვინს ჩანთიდან პური რომ ამოვლდ კაცივინის ხელმა და უნატონად კაცივინმა ხმა ვერ გასცა?

— ისეღ ფლორას და ფაენას და ვუთხარა, შევლებს რომ მივიჩნ და-მიტოვებს შენ რომ დღეს ფანჯრებში ლია გაქვს და არჩენა ხეგრინაღ ლემე, მაგ ძროხას რითადა ვაწრდილის ჩენი ბიჭი, სამშობლოს სადაზაროზე რომ დავს!

— ასე თუ ისე, მოვლავ დათვის და ვაჭებებენ! ჩადი, თუ გინდა, დათვიან და მოვლავარაკე, შენი ნებაა! ზოგი დავთვი ვეთილია და, იქნე, დავითობს!

— რას დამითობს?

— რომ მოვლავ, არ იტყვის არაფერს!

— სევასტი დავითან ჩავიდა.

— მოვლავ, შე უპატრონი, და-ნებებს ძროხას თაქი, თორემ! — დავებურს სევასტი.

— ხელსავ ვერ მახლება! — თქვა დათვმა და ძროხა დავითობა, — ცოტა იქით ვაიწვი, ხელს ნუ მიშლი! ვადავღე მაქი ფიშტი! ცხრა ვაჭანი მაქვს შუშული ვარტობილი და შენი



სადენტი რას მიზამს? სერგისა ხელი მოურჩა, ჩემს ბელს თითის სწრაფს რომ უპირებდა?

— არა, შევუღელი აქვს. შენ ივაკი იგი, თოფი ხელდან რომ გამო-სტყავ და ცხრა მთას იქით ვადავღე? შენ შემიჩრცხინე მესოროლე! ვაჭებენ ძროხას ხელი, თორემ გამო-ვუშავ ფლორას სასხლტებს!

— ამდენს რომ ჭკანებს, ლიცენზია მაქვს?

— რა ლიცენზია?

— ფული თუ გექვს გადახდელი წინასწარ, 15 მანეთი!

— ლიცენზია არ მაქვს.

— მოდა, როცა მოიტან, მერე მო-ვილაპარაკოთ! ისე, რად გინდა ლიცენზია, შე ვაქო, დაღვ სანდონს ხელი და თქვი, ულიცენზიოდ რამ-ღედი დავთვი მოვლავს?

— მე, ვაკევი, მაგრამ შენ საიდან მოიტანე! მაქი ლიცენზია თუ რადაც ვანდავა?

— რა უნდა ვლავარაკი?! დავთვი ვერ თუ შენ, ვერ ვაჭებე! ვაჭვის არ კითხობ? იქ წერია: „შეღავე და მავრე მტაცებულ ფრინველზე ნა-ღირბოა ნებადართულია მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ნაღირბო მუერებოვთა ტერიტორიაზე, ხო-ლო დავთვე ყველავე სპეციალური ნებადართული, თუ დადესტრუქულია.

რომ ოგი მიანს ბაქენს შეგებოვლ-ობას და სოფლის მუერებობის ნათესებს! ვაჭებენ!

— შე მართლა დავთვი, ფევი მწამს და ბოლო მაჭერებებს! ძროხა არ ვიკავია! წინააღობა — ხელმინ და არაა აჭიკი მესოროლე!

— შენი ქრიახე წყურდილვა? — მოგვდა დავთვი სეცოლოდ წაქი. წაუღე მაქი ცარიელი თოფი და შენი მიბეკვინობის თაგვდღობის უნახა, არ, ახლა იბებე ნაღირბობის სწრაფს და ვეშებოდა და ტყავა-წამალი მიო-ტანის, გამოსავალი უნდა რომ აქვს მანაზია! ისე, შე მამამავალი, რო-გორ გამომგვდი ამისთანა ტუნქ? 15 მანეთი მაინც აღარ ვიჭირებ! რა-ც იცი, ჩვენს სორქს ოთხ მანეთად ყა-დით ზაზარნი თურმე!

— არც ლიცენზია ავიღებს და არც არაფერს! — მოვიდა გული სევასტის, — ავღვებენ, ულიცენზიოდ ვარტავს ტყავის შუშული და მუაჩერ მერე ვაკალო!

— მასე, ყველი საჭაპურნი, ბაბა! შენ გვგონა, მე თათის ლოგის მტერი ვაჩვენე ვიცი? ბირველი ნოემ-ბრინდამ 30 ნოემბრად გავქვს მაგის სოფლანს, მანამდე და შემდეგვე თითხავდა დამაკარებელი რა, რა-საც მინდა, იმას გრამა! — უნახა დათვმა, ვეგერა სევასტის, ვადავღე დავთვი, ავღვებენ, მისაყვებლა, დაყავს ხის ტრატები და ვაჭებო...

„მონიხანა დათვინობის აპოლოდ შვილი ლიცენზია თუ არა აქვს, ვაჭინდ მოვლავს შენი...“

წამიწარს, მოვიღო ზურგზე სევასტის ძროხა და შევიდა ტყეში.

რამაზ ოსტაიზილი



პროლოგს მტერი ცესხლი მივე, (იქნა, სკოლდეს ენოლოვად?)

ნახე, შევკლა ხომ არ უნდა სადმე ენობისა ხასიათებს! ხომ არაფერს ვაფერებოვალბე?! ხომ არაფერს ვაჭებოვებე?

იქნებ, სჯობდა, ბოლო თაგმი, რამე ლეკსად შემეტანა? იქნებ, ვინმე გამომელოდა? იქნებ, ვინმე შემეყვანა?

არაფერი ვაჭვებო, სხვაფერი ხელი ვი არ ახლი! ხომ ღმერთითი რომინა? — შეგიძლია, იტრახებ!

ზაზა კაციაზილი



# დავლაქუელად

ქართული  
ბიულეტენი

## სწავლად!!!



ართი თვე ეკიდა ჩვენი ლაბორატორიის კარებზე შავარშიაშემოვლებული განცხადება — „გვესაჭიროება დამლაგებელი.“ მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, კაციშვილი არ გაგვკარებია!

ერთ დილას ღირექტორის კაბინეტის კარები შევადე და საწერ მაგიდაზე განცხადება დავუდე. გერონტიმ განცხადებას ეჭვის თვლით გადახედა და ჩამარცვლით ჩაიკითხა: „გ თ ხ ო ვ თ, გადაამიყვანოთ დამლაგებელი!“

— კარგი, ერთი, თუ ძმა ხარ: შენი უკბილო ხუმრობადა აქლდა ჩვენს გაჭირვებას!

— მე სრულიადაც არ გუნებობ!

— კარგი, ერთი! მართალს ამბობ, ბიჭო?!

— სიმართლეს მოგახსენებთ!

— აბა, მაშ, მოდი, ჩემო ერთგულო! მოდი, გადაგოცნო! — ჩვენმა უფროსმა მხრებზე ხელი მომხვია, ჭვარედინად გადამოცნა და განაგრძო — ოცი წელია, ამ ლაბორატორიაში ვმუშაობ. ყველას ჩემი სკამი აქვს მიზანში ამოღებული, ყველას ღირექტორობა უნდა და ძლივს ერთი კაცი არა ვნახე, ვისაც ნამდვილი გული სდებია მკერდში? ბოდიში, ძმაო, თუ ოდესმე რაიმე გაწყენინე! ღმერთმა მომიტევოს, თუ შენზე ოდესმე ეჭვი გავივლე გულში! — გერონტიმ ელექტრონის დილაკს თითი დააჭირა და კადრების განყოფილების გამგე გამოიძახა.

— აი, აფრასიონ, გაიცანი! როგორც იქნა, ვიპოვე ნამდვილი ადამიანი!

აფრასიონმა გაკვირვებით ამხედდა.

— ხუთი წელია, ჩვენთან მუშაობს და დღეს გავიგე ამისი ფასი. ჩვენი ნიკოლოზი დამლაგებლად გადაყვანას გეთხოვს.

— დამლაგებლად?!

— ჰო, დამლაგებლად! ხელფასი რამდენი ექნება?

— სამოცდახუთ მანეთამდე.

— ახლა რამდენი გაქვს?

— სამოცდაოთხი.

— აბა, მაშ, მეტი რა გინდა. ძმაო?! გადაიბარე საქმე და, თუ კაცი ვარ, დაგიფასებ!

მეორე დღით ორ საათში მოვრჩი საქმეს: იატაკიც მოვრცეცხე, ინვენტარიც გავასუფთავე და ფანჯრის მინებიც დავპარიალე. 10 საათზე უკვე სახლში ვიყავი და სავენებს ვამზადებდი. არც ჩვენი საერთო ოთახის მომსახურება ყაყანი მაწუხებდა, არც ტელეფონის წკრიალი და არც სტუმრად მოსულთა ყიყინა.

სულ მალე ისე დავაყენე საქმე, რომ ღირექტორს ჩემი ქების მეტი არაფერი ამოსდიოდა პირიდან. საბატიო დაფაზე გამომაკრეს და მოწინავეთა სიაში შემიტანეს. ჩემმა ქებამ ჩვენი ლაბორატორიის გარეთაც გააღწია და, ერთ სისხამ დღით, ვილაც კარგად ჩაცმული კაცი დავლანდე კარებთან.

— რა გნებავთ? ლაბორატორია ცხრა საათზე იწყებს მუშაობას.

— მე თქვენი მეზობელი ხილბოსტნის კანტორის უფროსი ვარ, ღირექტორთან კი არა, თქვენთან მაქვს საქმე!

— ჩემთან?!

— დიახ დამლაგებელი გვკირდება!

— მე მშობლიურ ლაბორატორიას ვერ ვუღალატებ!

— რატომ ლალატი?.. აქაც იყავი და იქაც!

— რამდენი ოთახი გაქვთ?

— ორი...

— ხელფასი?

— სამოცდაათი მანეთი.

დავთანმდი. ახლა უკვე სამი საათი მჭირდებოდა: დილის ექვს საათზე ვიწყებდი და ცხრა საათზე ვამთავრებდი. სამაგიეროდ, ხელფასი მომემატა და კოსტუმი შევუკვეთე. ჩემმა მეცადინეობამაც საგრძნობლად წაიწია წინ.

ამ ორი კვირის უკან ჩვენი მეზობელი პურის მაღაზიის კარებ-

ზეც გამოჩნდა განცხადება დამლაგებლის საჭიროების შესახებ. კარგა ხანი ეკიდა იგი მზის გულზე... გახუნდა, გაყვიოლდა, მაგრამ შედეგი მაინც ვერ გამოიღო. გუშინწინ პურის საყიდლად რომ შევედი, გამგე-გამყიდველმა მხარზე ხელი მომიტათუნა და საცოდავად გაიღრიალა:

— წაიკითხე? — თვლით განცხადებაზე მანიშნა.

— კი...

— მე რე, რას იტყვი?

— არაფერს.

— რატომ, ძმაო? ჩვენი ფული ფული არ არის? ერთი ოთახის დასუფთავება შენი და, სამოცდახუთი მანეთი ჩვენი! ერთ საათში მორჩები ყველაფერს, მეტი რა გინდა?!

— არაფერი, გაანძრე ხელი და ის ფული შენ თვითონ ჩაიდე ჯიბეში, სხვისთვის რატომ იმეტებ?

— მე ღირექტორი ვარ!..

— იყავი, ვინ გართმევს?! ნახევარი საათით ადრე მოხვალ, ხელებს დაიკაპიწებ, გაპკრაგ-გამოპკრაგ, სამოცდახუთ მანეთს ნაპოვნევით ჩაიდე ჯიბეში და ღირექტორადაც დარჩები!

— უხერხულია...

— რატომ, კაცო? შრომა როდის უოფილა უხერხული, ახლა რომ იყოს? ყველას რომ უფროსობა გინდათ და ყველა რომ ღირექტორობისთვის იკლავთ თავს, რა არის?!


— არა, ისევ შენ უნდა შეითავსო! თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი, გუშინწინაც სანიტარულმა კომისიამ შემამოწმა და ტყავი გამაძრო. არ გამომჭრა ყელი, არ მითხრა უარი! — მეხვეწა, მაგრამ რა მეხვეწა! მევედრა, მაგრამ რა მევედრა! მუხლებზე დამიჩოქა და მამალმერთივით შემომბლაღლა... რაღას ვიზამდი, დავთანმდი, ჩემი სამუშაო დრო კიდევ ერთი საათით გავზარდე და თითქმის გაემდიდრდი, გუშინ საღამოს ისაკიჩ მეჭლანუაშვილივით ვიანგარიშე და ჩვენს ღირექტორს განცხადება დავუდე მომავალ წელს ავტომატანის რიგში ჩადგომის შესახებ.

ჩემი კოლეგა სტუდენტი-ლაბორანტები კი ისევ იმ საერთო ოთახში სხედან. ხანდახან შევალ, დავხედავ, ძველებურად ჩავერთვები ბაასში, ენას მოვიფხან და საჩქაროდ ისევ სახლში ვბრუნდები. სად მცალია? — დილას სიმუშაო მელოდება და საღამოს — სამეცადინო. ვისაც ცოტა საქმე აქვს, მთელი დღე იმან იჭირაოს!

ნახ. მ. აბაშიძისა



— დამლაგებელი არ ჰყოლიათ და, მოდი, ამ მაღაზიის სისუფთავე შევამოწმო!



— საქმიან პრუზიდენტში გარემ ის დამლაგებელის ამოვიყვანოთ, თორემ გვიჩივლებს!



მშე კარგა ხნის ჩასული იყო. თბილისიდან მიმავალ „ვოლგაში“ ერთი კაცი იჯდა, მას ნელა მიჰყავდა მანქანა, მაგრამ სახეზე მანკი ეტყობოდა, რაღაც საჩქარო საქმეზე მიისწრაფვოდა.

შუადამისას სოფელ ნაშოვნელას მიადგა. ცდილობდა, მყუდროება არ დაერღვია დაძინებული სოფლისათვის. მოტორი გამორთო და მანქანა უხმოდ გაგორდა. გაჩერდა. კარი გაიღო და მანქანიდან კაცი გადმოვიდა, საკმაოდ მოზრდილი შეკვრა ზურგზე მოიგდო და ორღობეში ფრთხილი ნაბიჯებით გაუჩინარდა. ერთი ეზოს ღობეზე ვაი-ვაგლახით გადაბობდა. ძაღლმა პატრონი იცნო და კუდის ქნევით მიეგება. დაბნეულმა პატრონმა ძაღლი ვერ იცნო.

— მამა, მამა! — იძახდა იგი ჩურჩულით და ფანჯარაზე ფრთხილად აკაკუნებდა. ფარდა გაიწია და სინელეში თეთრი საცვლები გარკვევით გამოჩნდა. მერე სინათლე აინთო და საცვლებს მოხუცის თავი დაეფარა.

კარი გაიღო, შვილი მამას არც მისალმებია, ისე სხაპასხუპით მიაცარა:

— მიწაში ჩამარხე ისე, რომ სულიერმა არ დაგინახოს! იცოდე, ოქროა და ფული! გამიგე? ისე გადამაღე, ეშმაკმაც ვერ მიაგნოს! ახლა კი

# გაღაკრული ქარ-მიღაკო

წავედი, ამალამვე უნდა დაებრუნდე თბილისში. ნახვამდის!

ღრო გადიოდა. შვილი თბილისში „მოღვაწეობდა“, მამა სოფელ ნაშოვნელაში შრომობდა, ხოლო მიზარებული მიწაში განისვენებდა.

ერთ დღეს შვილმა ელვა დეპეშა მიიღო: „მამაშენს დამბლა დაეცა, სასწრაფოდ ჩამოდი“.

სამი პროფესორი დააყენა შვილმა მამას თავზე. სამივემ უიმედოდ გაიქნია თავი, თუმცა ანუგეშეს: ნუ გეშინიათ, დიდხანს იცოცხლებს, მხოლოდ მეტყველება და მეხსიერება არ აღუდგებათ.

მამა შვილს გაკვირვებით უყურებდა და რაღაცას ლულულულებდა, ხოლო შვილი მამას მუდარით შესცქეროდა და ქვითინებდა.

— სად შეინახე ის, მე რომ მოგაბარე, აი, მამა, დამე რომ მოგიტანე, დიდი შეკვრა?

შვილი ხან ხელებს შლიდა შეკვრის ზომასზე, ხან ფულებსა და ოქროს უტრიალებდა მამას ცხვირწინ,


მაგრამ მამა გაკვირვებით უმხერდა და შუბლზე გარკვევით ეწერებოდა: „ვინა ხარ, კაცო, შენ?! რამ გადაგრიია?! რა გინდა?! რას გადამეკიდე?! რა დაგკარგვია და რას ეძებო?!“ შვილი შესანიშნავად კითხულობდა ამ ტექსტს მამის დანაოჭებულ შუბლზე და თვალები ცრემლებით ევსებოდა...

მამის ავადმყოფობის შემდეგ არც ერთი შაბათი და კვირა არ გაუცდენია შვილს, თავის საკარმიდამოში რომ არ ეფუჭფუსოს. სოფელში გლეხები მარჯვენას უქებდნენ: „კაცი ვართ, მაგან უნდა თქვას! არ გადაბარა მთელი ეზო? დღე და ღამეს ასწორებს, ბარი რომ არ მოხვედრია, იმ ადგილებსაც კი არ ტოვებს და წერაქვით ამუშავებს, ზოგან ეზოს გადაღმაც კი ბარავს“.

მართლაც ასე იყო, დღედაღამ ოფლს ღვრიდა შვილი ხალხის ნაოფლარის ძებნაში, ღელავდა, ნერვიულობდა, მაგრამ ამაოდ. და, ბოლოს... დაეხმარნენ, მოაძებინეს ფული და ოქრო, დაამშვიდეს, დააშოშმინეს, თან წაიყვანეს. დარჩა გაკვირვებული მამა, რომელიც ნადვლიანი თვალებით გააჭყურებდა საგულდაგულოდ გადაბარულ კარმიდამოს...

ქანი სინარულიძე

ნახ. 3. კუციაანი




— აფიცრანტ! ანგარიში!...  
— სამით ნოლს ვაგებთ, ბატონო!

## გატახება

კინო-კინო სირბილი ახლებს და ავიყებს, არ კითხულობს გაზეთებს, თვალს ადევნებს აფიშებს, არა სწავლობს, სწავლისთვის ის თავს როდი იმეტებს, უჭობს კინოს ბილეთი საგამოცდო ბილეთებს. მშობლიური მწერლების გვარებიც კი არ იცის, — ყოველ უცხო მსახიობს ყველა როლით განიცდის. „რჩეულს“ დიდი პოეტის (როა ნიჭის ამბორი) მას საზღვარგარეთული უჭობს ფოტოალბომი. ...ნახა ლუერის სასახლე, არ უნახავს ვარძია, თავით ფეხის ფრჩხილამდე უცხოური აცვია, ზამთარ-ზაფხულ უცხოურ მოდელებზე ნაგეში, წიგნში არ იცქირება, იცქირება სარკეში...

გიორგი ზეთიაური

ნახ. 6. მელმესაშვილისა



სოფელში ერთი კაცია. — მკითხველო, იცნობ ეგება? — მთხოვნელთან ყრუ და მკაცრია, უფროსებს ფეხქვეშ ეგება.

მეფური სახლი აიგო, „ვოლგით“ ლელოსაც გაიტანს! სულ ღრეობს, ვერვინ გაიგო, რითი, როგორ და საიდან?

ვინც არ ადიდა, აწამა, დატოვა მოუწყობელი;

— თუ არ მასვა და მაჭამა, რისთვის არისო სოფელი?

თვითონ კი სოფელს რა მისცა, რომ ფიანდაზად დაიგო? სხვისი საქათმეც წაიქცა, თვითონ სასახლე აიგო.

— არ გაქვსო რიდი მცირედი მისი, რომ ამხელ ასეთებს?

— მე მაქვს სხვა რამის იმედი: ის არ კითხულობს გაზეთებს!

აკაკი გელოვანი

უბეძვტოდ



ნახატი თემების ავტორები:

ბი: ზ. გოფოძე, ვ. კუციანი,

მ. აბაშიძე, ნ. ქიქელიძე, ს. ლი,

ლი, ნ. მალაზონია, ს. ლე

უზა.

ნახატი თემების ავტორები:

ბი: ზ. გოფოძე, ვ. კუციანი,

მ. აბაშიძე, ნ. ქიქელიძე, ს. ლი,

ლი, ნ. მალაზონია, ს. ლე

უზა.

ნახატი თემების ავტორები:

ბი: ზ. გოფოძე, ვ. კუციანი,

მ. აბაშიძე, ნ. ქიქელიძე, ს. ლი,

ლი, ნ. მალაზონია, ს. ლე

უზა.

ნახატი თემების ავტორები:

ბი: ზ. გოფოძე, ვ. კუციანი,

მ. აბაშიძე, ნ. ქიქელიძე, ს. ლი,

ლი, ნ. მალაზონია, ს. ლე

უზა.

ნახატი თემების ავტორები:

ბი: ზ. გოფოძე, ვ. კუციანი,

მ. აბაშიძე, ნ. ქიქელიძე, ს. ლი,

ლი, ნ. მალაზონია, ს. ლე

უზა.

388

17.11



ნ.ბ. ლომიძისა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
Индекс 76137



მსახულთა და „გერმანელ გოგონათა კავშირის“ ფორმებში გამოწყობილთა ათას ხუთასამდე ფაშისტმა საკურორტო ქალაქ ვესტერლანდის რესტორან „სანტა-ფე“-ში არნახული ორგია მოაწყო. ამჯერად მათი ღრეობის საბაზი ჰიტლერის დაბადების დღე იყო.

— არ ჩააპრო, ჩვენო ფიშურარ!